ტექნიკური დახმარება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის

მეთოდოლოგია

1.1 ორგანიზაციული შესაძლებლობების კვლევის ინსტრუმენტი

სამუშაო აღწერილობის მოთხოვნის შესაბამისად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზაციული შესაძლებლობების კვლევის ინსტრუმენტი წარმოდგენილია დანართი 2-ის სახით.

კვლევის ინსტრუმენტი ძირითად ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ 6 კომპონენტზე:

1) *ხელმძღვანელობა:* პირები, ვინც პასუხისმგებელია ორგანიზაციის მართვაზე;

2) *სტრატეგია:* კონკრეტულ, მიღწევად, გაზომვად, დროულ და შესაბამის (SMART) ინდიკატორებსა და ამოცანებზე დაფუძნებული სტრატეგიული გეგმის შემუშავება;

3) *სტრუქტურა/მმართველობა:* პოლიტიკა, პროცესები და რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზაციული ამოცანების შესრულებასა და სამუშაოს კოორდინაციას;

4) *უნარები:* ადამიანური რესურსის „სწორი“ შერჩევა და ტექნოლოგიის გამოყენება

5) *ადამიანური კაპიტალი:* სამუშაოს მაძიებელთა დასაქმება და ტრენინგი, ადამიანური რესურსების პოლიტიკის ადმინისტრირება

6) *ანგარიშვალდებულება:* რომელიც მოიცავს მართვას, ზედამხედველობასა და ანგარიშგებას;

1.2 გაცნობითი შეხვედრა

საკონსულტაციო საქმიანობა დაიწყება ლტოლვილთა დანიის საბჭოსთან გაცნობითი შეხვედრით. მეტი სტრუქტურირებული წვლილის მისაღებად, შეხვედრის დროს გამოყენებული იქნება ე.წ SWOT ანალიზი, რათა მოხდეს იმ ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და რისკების იდენტიფიცირება, რომელსაც ლტოლვილთა დანიის საბჭოს გუნდი აზრით დევნილთა მიმართ არსებული პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია.

SWOT ანალიზი დაგვეხმარება დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებაში, ლტოლვილთა დანიის საბჭოს პროგრამის ე.წ. ცლილებების თეორიის შემუშავებაში, ასევე მეთოდების დახვეწაში, ჩატარებული საქმიანობის გავლენისა და მასშტაბის შესწავლაში.

1.3 მეორადი მონაცემების განხილვა

მეორადი მონაცემების განხილვა განხორციელდება დევნილთა პროგრამების სტრატეგიულ მიმართულებებში, როგორიცაა თავშესაფრით უზრუნველყოფა, მცირე მასშტაბის ინფრასტუქტურის

განვითარება, საარსებო წყაროები, განათლება, ადგილობრივი სერვისები, უფლებების დაცვა და ა.შ. მონაცემების განხილვაში გათვალისწინებულ იქნება საჯარო უწყებების ანგარიშები, საკანონმდებლო ბაზა, სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები, აკადემიური და გამოყენებითი კვლევითი ანგარიშები, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო დაინტერესებული მხარეების მიერ მოძიებული მონაცემები.

მეორადი მონაცემების განხილვა ძირითადი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებასა და კვლევის ინსტრუმენტების შემუშავებაში იქნება გამოყენებული.

1.4 დაინტერესებული მხარეები

დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება დაიწყება მეორადი მონაცმების დამუშავების ეტაპზე და დასრულდება ლტოვილთა დანიის საბჭოსთან თამანშრომლობით შედეგად კვლევის ინსტრუმენტების შერჩევის შემდეგ. საკონსულტაციო სამუშაოების წარმოებისას შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იქნება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა, რომლებსაც გარკვეული წვლილი შეაქვთ კვლევაში:

- დაინტერესებულ მხარეებს შორის მოიაზრება ცენტრალურ დონეზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სხვა სამინისტროები, ხოლო ადგილობრივ დონეზე რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები და თვითთმმართველობები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან შემდეგ მიმართულებებზე: მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურის განვითარება, საარსებო წყაროები, მცირე და საშუალო წარმოების მხარდაჭერა, განათლება, ადგილობრივი სერვისები, უფლებების დაცვა და ა.შ.
- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შორის მოიაზრება ის ორგანიზაციები, რომლებსაც აქტიურად შეაქვთ წვლილი კვლევის მიმართულებებში.
- საერთაშორისო ორგანიზაციათა შორის მოიაზრება ისეთი დონორი ორგანიზაციები, როგორიცაა: ევროკავშირი, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარკვეული სააგენტოები.

1.5 რაოდენობრივი კვლევა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომელთა გამოკითხვა მოგვცემს ინფორმაციას სამინისტროს შესაძლებლობების შესახებ. ის შეაფასებს ქცევის, კოლექტიური რწმენის, ღირებულებების სისტემას და მოახდენს ორგანიზაციული პოლიტიკის იდენტიფიცირებას ნათელი, მარტივი და თანმიმდევრული გზით. რაც გასცემს პასუხს ორგანიზაციული შესაძლებლობების კვლევის ინსტრუმენტის გამოყენებისას დასმულ შეკითხვებს.

გამოკითხვა განხორციელდება წერილობითი ფორმით, რომელშიც ჩართული იქნება ბენეფიციარი სამინისტროს ყველა შესაბამისი თანამშრომელი. კითხვარი შემუშავდება ლტოლვილთა დანიის საბჭოსა და სამინისტროს წარმომადგენელებთან აქტიური თანამშრომლობით. გაცნობითი შეხვედრისა და მეორადი მონაცემების ძირითადი მიგნებები იქნება მისი შემადგენელი ნაწილი.

1.6 ექსპერტული ინტერვიუები

სამთავრობო წარმომადგენლების ინტერვიუები მოგვცემს უკუკავშირს თუ როგორ უნდა შეინარჩუნონ და განავითარონ, სამინისტრომ და სხვა სახელმწიფო უწყებებმა, სერვისების მიწოდების შესაძლებლობები და უზრუნველყონ მათი მდგრადობა. ასევე, როგორ რეაგირებენ გარე ფაქტორებზე და როგორ იღებენ სიახლეებს.

სამთავრობო წარმომადგენელებთან ინტერვიუები გამოყენებულ იქნება ასევე ინფორმაციის მოსაძიებლად პოლიტიკის ცვლილების, სტრატეგიის ცვლილების და მოსაზრებების მოსაპოვებლად. ასევე, დაეხმარება ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებისა და გამოწვევის გარკვევისათვის სამთავრობო გადაადგილებების შემდეგ და მიღებული გამოცდილების იდენტიფირებისათვის.

ინტერვიუები არასამთავრობო სექტორი წარმომადგენლებთან - სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელები, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები სამთავრობო წარმომადგენელებისგან განსხვავებლად შეაფასებენ იმას თუ რა ხდება მათ ორგანიზაციებში შესაძლებლობებისა და კომპეტენციის კუთხით, ასევე ისაუბრებენ გარე დაინტერესებული მხარეების ანგარიშებში ასახულ ინფორმაცაზე.

პასუხები ამ კითხვებზე შევა ორგანიზაციული შესაძლებლობების კვლევის ინსტრუმენტში და დაგვეხმარება სხვა უწყებების მსგავსი პროგრამების იდენტიფიცირებასა და ანალიზში. ასევე, პოლიტიკის ცვლილების საკითხზე გარე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მოძიებაში.

1.7 სამუშაო შეხვედრები

სამუშაო შეხვედრები შედგება საკონსულტაციო საქმიანობის მიგნებების სრულყოფისათვის.

ოპერაციულ სამუშაო შეხვედრაზე მოხდება კვლევისა და ძირითადი ინტერვიუერებისგან მიღებული მიგნებების წარდგენა და გაიმართება დისკუსია. აღნიშნული ღონისძიება დაიგეგმება ისე, რომ პასუხი გაეცეს ორგანიზაციული შესაძლებლობების კვლევის ინსტრუმენტის გამოყენებისას დასმულ კითხვებს, საშუალება ჰქონდეს კონსულტანტს გადაამოწმოს ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაცია, გამოაჩინოს ახალი მიგნებები და მიიღოს უკუკავშირი ძირითადი დაინტერესებული მხარეებისგან, რათა მოხდეს შესაძლებლობების განვითარების დოკუმენტისათვის შემუშავებული რეკომენდაციების სრულყოფა.

სტრატეგიული დაგეგმარების საკითხებზე ორგანიზებული ორდღიანი სამუშაო შეხვედრა დაეხმარება კვლევას შეექმნას წარმოდგენა დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულისა დევნილთა სამოქმედო გეგმასა და დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმასთან. ასევე, მოახდინოს შესაძლებლობებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებას, განიხილოს გზები თუ როგორ გახდეს პოლიტიკა უფრო ეფექტური და ხელმისაწვდომი. ეს შეხვედრა ასევე წარმოადგენს სტრატეგიული ჩარჩო-დოკუმენტისა და რელევანტური ინსტრუმენტების შემუშავების საწყის ეტაპს.